



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 აპრილი 2026



N 219/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 10.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში, შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.10.39.767; ფართობი: 39668 მ<sup>2</sup>), სადაც სპეცტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ობიექტია განთავსებული. აღნიშნული ტერიტორიიდან 60 მ<sup>2</sup>-ს, რომელზეც სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაციაა დაგეგმილი, ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 81.10.30.555) დაახლოებით 1800 მეტრში მდებარეობს, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე ლოჭინი, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 1300 მეტრში მიედინება. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით ემიჯნება შპს „ჰენკელ ბილდინგ ქემიქალს ჯორჯია“-ს სამშენებლო წებოვანი ნივთიერებების საწარმო (ს/კ: 81.10.27.916), ჩრდილოეთით – შპს „ევრომეტალი“ (ს/კ: 81.10.39.546), ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით – კერძო საკუთრებაში არსებული, აუთვისებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი განკუთვნილი იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შპს „თეგეტა მოტორსი“-ს ტექნიკური მომსახურების ობიექტის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებისთვის (კოდი: 13 01 05\*, 13 01 09\*, 13 01 10\*, 13 01 11\*, 13 01 13\*, 13 02 04\*, 13 02 05\*, 13 02 06\*, 13 02 07\*, 13 02 08\*, 13 03 10\*; წლიური ჯამური რაოდენობა: 115200 ლიტრი; კოდი: 16 01 14\*; წლიური ჯამური რაოდენობა 8000 ლიტრი) და წარმოდგენილი იქნება ნარჩენი ზეთების შესანახი 54 მ<sup>3</sup> მოცულობის და ნარჩენი ანტიფრიზის შესანახი 8 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარებით. მითითებული რეზერვუარები საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კაპიტალური შენობის სახურავზე, მობეტონებულ და წყალგაუმტარი, საიზოლაციო მასალით დაფარულ ზედაპირზე განთავსდება. საპროექტო რეზერვუარების მეტალის კორპუსი დაჟანგვის საწინააღმდეგო სპეციალური საღებავით დაიფარება და გადავსების

საწინააღმდეგო სისტემით აღიჭურვება. საპროექტო რეზერვუარები სითხეგაუმტარი ბეტონით შემოიზღუდება და დაღვრის შემაკავებელ, საერთო, კონტურიან ჭურჭელში მოთავსდება, რაც დაღვრის შემთხვევაში სითხის გარემოში გავრცელების მინიმინაციას უზრუნველყოფს. დაღვრის შემაკავებელი ჭურჭელი სრულად გადაიხურება რკინის/თუნუქის სახურავით, რომელიც ლითონის საყრდენებს დაეფუძნება. აღნიშნული გადახურვა გამორიცხავს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების დაგროვებას და ობიექტის უსაფრთხო ექსპლუატაციას უზრუნველყოფს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექნიკური მომსახურების ობიექტის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები სარემონტო ორმოებში გათვალისწინებულ სპეციალურ, გორგოლაჭებზე მგორავ, 60-80 ლიტრი ტევადობის მეტალის ჭურჭელში ჩაისხმება, საიდანაც პნევმატიკური ტუმბოებით და პლასტმასის მილებით საპროექტო 54 მ<sup>3</sup> მოცულობის ნარჩენი ზეთების შესანახ რეზერვუარში დაგროვდება (დახურული/ჰერმეტიკული სისტემა). დაგროვილი ნარჩენები დამუშავების გარეშე, შემდგომი მართვის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას გადაეცემა. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ინფორმაცია ნარჩენი ანტიფორიზის საპროექტო 8 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარში დაგროვების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს, რაც დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობისა და სამშენებლო სამუშაოების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება ნაჯერი ნახშირწყალბადების (C<sub>12</sub>-C<sub>19</sub>) წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნაჯერი ნახშირწყალბადების (C<sub>12</sub>-C<sub>19</sub>) რაოდენობრივი მაჩვენებლები. გაზნევის გაანგარიშების შედეგებისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების დიდი მანძილის (დაახლოებით 1800 მეტრი) გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმომქმნელი წყაროები იქნება 11 ერთეული ტუმბო, რომელთა მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე 45 დბ-ს არ აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტუმბოები ძლიერი ხმაურის წარმოქმნით არ ხასიათდება, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დიდი მანძილით (დაახლოებით 1800 მეტრი) არის დაშორებული, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო და სახანძრო დანიშნულებით, შპს „თეგეტა მოტორსი“-ს ლიცენზირებული ჰაბურლილიდან. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება არსებულ 6-ტონიან საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვაც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ვინაიდან სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის პერიმეტრი მთლიანად მობეტონებულია, ხოლო ავარიული დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული უბანი სპეციალური საწმენდი მანქანით დასუფთავდება და ნარჩენი ზეთის შემდგომი მართვა კანონმდებლობის სრული

დაცვით განხორციელდება, ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში. წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია არსებული ტექნიკური მომსახურების ობიექტის ტერიტორიაზე, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში. საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში მსგავსი ტიპის ობიექტი არ ფიქსირდება.

აღსანიშნავია, რომ სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი სრულ თანხვედრაში უნდა იყოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია რამდენად არის გათვლილი არსებული შენობა (კონსტრუქცია და დასაწყობებული ნარჩენები) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობაზე. ამასთან, ნარჩენების ავარიული დაღვრის შემთხვევაში, ჩნდება დამატებითი რისკი ნარჩენების (ზეთის/ანტიფრიზის) გარემოში მოხვედრასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის („უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“) გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის (რეზერვუარები) შენობის სახურავზე მოწყობა მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, სახეზეა საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ადგილების განხილვის, აღნიშნული ალტერნატივების შედარებითი ანალიზის და შერჩეული ალტერნატივის სათანადო დასაბუთების საჭიროება, რაც დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლის საგანია.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს გზშ-ს.**
2. ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ი ვალდებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/219-21-4-202604061034>

